

შავი ზღვის დაცვისა და რეაბილიტაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელება

დაწყების თარიღი : 01-11-2010

დასრულების თარიღი: 31-12-2011

პროექტის აღწერა:

მარმარილოს ზღვასთან დამაკავშირებელი ვიწრო სრუტის გარდა შავი ზღვა თითქმის მთლიანად ჩაკეტილია. მასში ჩაედინება ბევრი მდინარე და ფლობს უნიკალურ ფიზიკურ და ქიმიურ ნიშანთვისებებს, რომლებიც შესაბამისად უნიკალური ბიოლოგიური თემების წინაპირობაა. ის ასევე არის გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი ენდემური სახეობების, ისევე როგორც ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე თევზების საცხოვრებელი ადგილი. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა ბიომრავალფეროვნების განადგურების საფრთხე, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის შავი ზღვის სანაპიროს ეკონომიკური და სოციალური კუთხით. ამ მიზნით 1990 წლიდან მოყოლებული შავი ზღვის ექვსმა ქვეყანამ მიაღწია რამდენიმე შეთანხმებას ზღვის დასაცავად, მაგრამ დღემდე აღნიშნული შეთანხმებები საქართველოს ტერიტორიაზე სათანადოდ არ განხორციელებულა. საზღვაო გარემოს დაცვის საკითხები არ არის წამოწეული ეროვნულ გარემოსდაცვით პოლიტიკაში. შესაბამისად, საერთაშორისო რეჟიმი არაეფექტური იყო შავი ზღვის დაცვის საქმეში (მთავარი პრობლემა).

ბოლო სტრატეგიული სამოქმედო გეგმა შავი ზღვის გარემოს დაცვის და რეაბილიტაციის შესახებ (BSSAP) დამტკიცდა 2009 წელს. ამ გეგმის შინაარსი პირველ რიგში უნდა აისახოს საქართველოს გარემოსდაცვით პოლიტიკაში, როგორც შავ ზღვასთან დაკავშირებული რეგიონული შეთანხმებების განხორციელების საფუძველი. შესაბამისად, აღნიშნული პროექტი საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს დაეხმარება მიმდინარე რეგიონული შეთანხმებების ინტეგრაციაში ეროვნულ გარემოსდაცვით სამოქმედო გეგმასა (NEAP) და ბიომრავალფეროვნების ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში (NBSAP). ასევე, გაიზრდება სამინისტროს პროფესიული კომპეტენცია საზღვაო ეკოლოგიასთან დაკავშირებით. პროექტი მხარს დაუჭერს პრიორიტეტული ზომების განხორციელებისთვის საპილოტე აქტივობების ფინანსური სქემის პროექტის შედგენას, რაც მოცემულია BSSAP-ში — შავი ზღვის ბიომრავალფეროვნებისა და ჰაბიტატების კონსერვაცია.

პროექტი ინტეგრირებული იქნება ერთობლივ განვითარების პროგრამაში „სამხრეთ კავკასიაში ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა და კონსერვაცია“. ასევე არსებობს სინერგია მიმდინარე ბიომრავალფეროვნების პროგრამას, დაცულ ტერიტორიებსა და სატყეო სექტორში ბიომრავალფეროვნების მდგრად მართვას და სამხრეთ კავკასიის პროექტს (№67.2052.6) შორის. პროექტი ასევე დაეხმარება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის 2010 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელებას.

დამხმარე კომპონენტი, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს ასევე საკონსულტაციო მომსახურებასა და ტრენინგებს.

პროექტის შედეგები :

პროექტის მიზანი:

შავი ზღვის გარემოს დაცვის და რეაბილიტაციის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პრიორიტეტული საკითხების საქართველოს ეროვნულ გარემოსდაცვით პოლიტიკაში და სამოქმედო გეგმებში ინტეგრაცია და საპილოტო პროექტებში იმპლემენტაცია.

ინდიკატორები:

1. შავი ზღვის გარემოს დაცვის და რეაბილიტაციის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის 65 ამოცანის (ეკოსისტემის ხარისხის ამოცანები) მინიმუმ მესამედის შეთანხმება რეგიონულ დონეზე შავი ზღვის ექვს მოსაზღვრე ქვეყანასთან და შეყვანა საქართველოს გარემოსდაცვით პოლიტიკურ დოკუმენტებში და მათ სამოქმედო გეგმებში.
2. ეკოსისტემის ხარისხის ამოცანებისთვის ეროვნულ დონეზე შეთანხმებული ყველა ღონისძიების განსახორციელებლად შავი ზღვის ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ფინანსურად უზრუნველყოფილი ზომების განრიგის მომზადება.

3. ეკოსისტემის ხარისხის ამოცანებში მოცემული მინიმუმ ორი ტექნიკური ღონისძიების განხორციელება საქართველოში; საჭიროების შემთხვევაში, რეგიონის დანარჩენ ქვეყნებთან შეთანხმებით.

მიზნობრივი ტერიტორია : აჭარის რეგიონი

სფერო : წყლის რესურსები

ღონორები :

გერმანიის ეკონომიკური განვითარების და თანამშრომლობის ფედერალური სამინისტრო (BMZ)

<http://www.bmz.de>

განმახორციელებლები

ორგანიზაცია: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია (GIZ)

ტელეფონი: +49-6196-790; **ელ-ფოსტა:** frank.flasche@giz.de

მისამართი: Dag-Hammarskjöld-Weg 1-5 65760 Eschborn

ვებ-გვერდი: <http://www.giz.de>

ბიუჯეტი

სრული ბიუჯეტი: 190000 EUR

სრული გრანტი: 190000 EUR